

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ექვსი თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის იანვარ-ივნისის თვის ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში განისაზღვრა 6583,2 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურად მიღებულია 5890,6 ათასი ლარის შემოსულობები, აქედან 308,1 ათასი ლარი არის გასულ წელს ავანსად გადარიცხული სახსრები, რომელიც ხელშეკრულებების შეწყვეტის გამო დაბრუნდა მიმდინარე წელს და ახალი ხელშეკრულებების გაფორმებამდე აღირიცხება შემოსულობებში, ექვსი თვის შემოსულობების გეგმა შესრულებულია 89,5 %-ით და გასული წლის ექვს თვეში მიღებულ შემოსულობებს აღემატება 1 141,5 ათასი ლარით. 2018 წლის ექვსი თვის შემოსულობები შეადგენდა 4 749,1 ათას ლარს. მიმდინარე წლის ექვს თვეში გაზრდილია ფაქტიურად მიღებული გადასახადები და სხვა შემოსავლები, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერები არის შემცირებული, გათანაბრებითი ტრანსფერის გაუქმების გამო.

გადასახადებში მუნიციპალიტეტს დაგეგმილი 3 054,9 ათასი ლარიდან მიღებული აქვს 2 506,5 ათასი ლარი, მათ შორის საწარმოთა ქონების გადასახადი დაგეგმილი 150,0 ათასი ლარის ნაცვლად 241,9 ათასი ლარი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი დაუგეგმავად 3,6 ათასი ლარი არის მიღებული ხოლო დამატებული ღირებულების გადასახადი დაგეგმილი 2 904,9 ათასი ლარის ნაცვლად მიღებული გვაქვს 2 260,9 ათასი ლარი, გადასახადების გეგმა შესრულებულია 82,0 %-ით და გეგმის შესრულებას დააკლდა 548,4 ათასი ლარი, რაც მთლიანად მოდის დღგ-ს გეგმის შეუსრულებლობაზე.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერები ექვს თვეში დაგეგმილი იყო 2 766,4 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებულმა ტრანსფერმა შეადგინა 2 000,4 ათასი ლარი. აქედან მიზნობრივი ტრანსფერი მიღებულია სრულად 69,0 ათასი ლარი, კაპიტალური ტრანსფერი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 1546,9 ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერი სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლებისათვის გადასახური მასალის შესაძენად 45,0 ათასი ლარი და გრანტები ცენტრალური სსიპებიდან 339,4 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების ექვსი თვის გეგმა განისაზღვრა 746,9 ათასი ლარით, ფაქტიურად კი მიღებულია 1 367,0 ათასი ლარის სხვა შემოსავლები, ანუ 620,1 ათასი ლარით მეტი, აქედან ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი მიღებულია 12,6 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან 39,6 ათასი ლარი, სანებართვო მოსაკრებელი 45,0 ათასი ლარი, დასუფთავების მოსაკრებელი მიღებულია 15,4 ათასი ლარი, ჯარიმები, სანქციები და საურავები 944,6 ათასი ლარი და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი 308,1 ათასი ლარი, გეგმა შესრულებულია სხვა შემოსავლის ყველა სახეში.

არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსულობები ექვს თვეში დაგეგმილი 15,1 ათასი ლარიდან შემოსულია 16,6 ათასი ლარი, აქედან 11,7 ათასი ლარი ძირითადი ქონების გაყიდვიდან და 4,9 ათასი ლარი მიწების გაყიდვიდან.

სულ მუნიციპალიტეტის 2019 წლის ექვსი თვის საკუთარი შემოსულობების გეგმა შეადგენს 3 816,9 ათას ლარს (გადასახადები, სხვა შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება) და ფაქტიურად მიღებულია 3 890,2 ათასი ლარი, ე.ი. საკუთარი შემოსულობების გეგმა შესრულებულია 101,9 %-ით, გეგმის ზევით მიღებულია 73,3 ათასი ლარის საკუთარი შემოსულობები.

2019 წლის პირველი იანვრისათვისათვის არსებული სახსრების ნაშთიდან მიმდინარე წლის ხარჯების დასაფარავად მიმართულია 5 082,3 ათასი ლარი, მ. შ 4 514,9 ათასი ლარი არის სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრებით და 567,4 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ექვსი თვის ბიუჯეტი გადასახდელების ნაწილში განისაზღვრა 9 961,0 ათასი ლარი, ფაქტიურად გაწეულია 6 295,8 ათასი ლარი, გადასახდელები დაფინანსებულია 63,2 %-ით. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2019 წლის ექვს თვეში ხარჯები შემცირებულია 660,7 ათასი ლარით, გასული წლის ექვს თვეში მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული იყო 6 956,5 ათასი ლარი.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი თანხების ათვისებას, მიმდინარე წლის ექვს თვეში სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან დაგეგმილი იყო 5 631,3 ათასი ლარის ხარჯების გაწევა, აქედან, 2019 წელს გამოყოფილი ფონდების სახსრებიდან 2 766,4 ათასი ლარი და გასული წლების სახელმწიფო ფონდების ნაშთებიდან 2 864,9 ათასი ლარი, ფაქტიურად ექვს თვეში სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებით გამოყოფილი სახსრებიდან ათვისებული იქნა მხოლოდ 2 800,2 ათასი ლარი, მათ შორის 1787,4 ათასი

ლარი 2019 წელს გამოყოფილი სახსრებიდან და 1012.8 ათასი ლარი წინა წლების დარჩენილი სახელმწიფო ფონდების სახსრებიდან. სახელმწიფო ფონდების ათვისების პროცენტი შეადგენს 49,7 %-ს. 2018 წლის ექვს თვესთან შედარებით სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვა შემცირებულია 908,1 ათასი ლარით. (2018 წლის ექვს თვეში სახელმწიფო ფონდებიდან დახარჯული იყო 3 708,3 ათასი ლარი)

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯების დაფინანსებაზე დაგეგმილი 1 186,4 ათასი ლარიდან გაწეულია 1 117,0 ათასი ლარი და დაფინანსებულია 94,2 %-ით. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით აღნიშნული ხარჯები გაზრდილია 66,4 ათასი ლარით, გასულ წლის ექვს თვეში წარმომადგ. და აღმასრ. ორგანოების შენახვაზე დახარჯული იყო 1050,6 ათასი ლარი, მიმდინარე წელს შესაბამისად გაზრდილია საკრებულოსა და მერიის შენახვაზე გაწეული ხარჯები.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესანახი ხარჯები 2019 წლის ექვს თვეში განსაზღვრული 329,1 ათასი ლარიდან გაწეულია 312,4 ათასი ლარი და დაფინანსებულია 94,9 პროცენტით.

მუნიციპალიტეტის მერიის შესანახი ხარჯები დაგეგმილი 857,3 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 804,6 ათასი ლარი, ანუ 93,9 პროცენტით.

2019 წლის ექვს თვეში მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის განკარგვის მიზნით შექმნილი კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე მერის ბრძანებით გამოიყო 25.5 ათასი ლარი, აქედან

-10,0 ათასი ლარი მიიმართა სოფელ მარელისში მცხოვრები მამუკი ლორთქიფანიძის მრავალშვილიანი ოჯახისათვის საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად;

- 2.5 ათასი ლარი ძლიერი წვიმების შედეგად დაზარალებული - სოფ. ჩხერში მცხოვრები თემური ლურსმანაშვილისა და გივი ეჯიბაძის, სოფელ ბორითში მცხოვრები შალვა კურტანიძისა და სოფ. მაქათუბანში მცხოვრები ნუგზარ შველიძისათვის ზიანის ასანაზღაურებლად სამშენებლო მასალის -10 ტონა ცემენტის შესაძენად;

- 10,0 ათასი ლარი სოფელ ბეჟათუბანში მცხოვრები თამაზი კაკიაშვილისათვის ახალი საცხოვრებელი სახლის შესასყიდად, რომლის საკუთარი სახლი 2018 წელს მთლიანად დაინგრა სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის პროცესში და მშენებლობის მწარმოებელმა კომპანიამ უარი განაცხადა ზარალი ანაზღაურებაზე.

- 3,0 ათასი ლარი გამოიყო დაბა ხარაგაულში მცხოვრები ირაკლი გოგსაძის შვილის საზღვარგარეთ სამკურნალოდ გამგზავრების მიზნით.

თავდაცვის ხარჯების დასაფინანსებლად დაგეგმილი 44,6 ათასი ლარიდან დახარჯულია 37,9 ათასი ლარი, მ.შ. 31,5 ათასი ლარი მიზნობრივი ტრანსფერით და 6,4 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სამხედრო სამსახურის შესანახი ხარჯები შემცირებულია 4, 5 ათასი ლარით.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია 2019 წლის ექვსი თვის შედეგების მიხედვით დაგეგმილი 6 150,5 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 3 118,6 ათასი ლარით, რაც გასული წლის ექვსი თვის შედეგებზე 1 170,3 ათასი ლარით ნაკლებია, გასულ წელს აღნიშნულ პროგრამას შესაბამის პერიოდში მოხმარდა 3 640,9 ათასი ლარი, აღსანიშნავია რომ საკუთარი სახსრებით გაწეული ხარჯები მიმდინარე წლის ექვს თვეში 88,4 ათასი ლარით ჭარბობს წინა წლის შესაბამის პერიოდში გაწეულ ხარჯებს, ხოლო სახელმწიფო ფონდებიდან გაწეული ხარჯები 1 258,7 ათასი ლარით ნაკლებია წინა წლის ექვს თვეში გაწეულ ფონდების ხარჯებზე.

1) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე დაგეგმილი 5 091,2 ათასი ლარიდან დახარჯულია 2 489,8 ათასი ლარი, ხოლო 2018 წლის ექვს თვეში 3 787,3 ათასი ლარი ე.ი. მიმდინარე წლის ექვს თვეში 1 297,5 ათასი ლარით ნაკლები მოხმარდა ამ ქვეპროგრამას.

მათ შორის: გზების მშენებლობა, რეკონსტრუქციის მოვლა-შენახვის ხარჯებზე მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში დახარჯულია 2 367,3 ათასი ლარი, აქედან 2 185,7 ათასი ლარი სახ. ფონდებით და 181,5 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით. მ. შ. აღნიშნული ქვეპროგრამიდან შეძენილია ვიდეო თვალი 24,7 ათასი ლარის ღირებულებით,.

ხიდებისა და ბოგირების შეკეთებაზე მიმდინარე წლის ექვს თვეში დაგეგმილი 429,2 ათასი ლარიდან გაწეულია 119,2 ათასი ლარი, აქედან საქ. მთავრობის N 2712 განკარგულებით სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდების აღსადგენად დახარჯულია 61,4 ათასი ლარი,

მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველსაყოფად გაწეულია 3,4 ათასი ლარი.

2) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ქვეპროგრამაზე გათვალისწინებული 667,1 ათასი ლარიდან დახარჯულია 548,6 ათასი ლარი, 82,2 პროცენტი, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მონაცემებს 100,5 ათასი ლარით აღემატება. 2018 წლის ექვს თვეში 448,1 ათასი ლარი იყო დახარჯული.

სანიაღვრე არხების მოსაწყობად დაგეგმილი 10,9 ათასი ლარიდან დახარჯულია 0,9 ათ. ლარი; მრავალბინიანი სახლების რეკონსტრუქციაზე 33,1 ათასი ლარიდან 9,8 ათასი ლარი;

წყლის სისტემების რეაბილიტაციაზე ექვს თვეში დაგეგმილი 59,1 ათასი ლარიდან ფაქტიური ხარჯი არ გაწეულა. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაციის ხარჯები ექვს თვეში დაგეგმილი 14,0 ათასი ლარიდან გაწეულია 13,3 ათასი ლარი; ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების დასაფინანსებლად დაგეგმილი 550,0 ათასი ლარიდან გაწეულია 524,6 ათასი ლარი, ხოლო 2018 წლის ექვს თვეში ინფრასტრუქტურული ა(ა) იპების მიერ, დახარჯული სახსრები შეადგენდა 458,0 ათას ლარს.

3) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ქვეპროგრამაზე დაგეგმილი 203,8 ათასი ლარიდან დაიხარჯა 75,5 ათასი ლარი, მათ შორის სასაფლაოების შემოღობვაზე დაგეგმილი 3,0 ათასი ლარი არ დახარჯულა. სკვერების რეაბილიტაციაზე დაგეგმილი 200,8 ათასი ლარიდან დაიხარჯა 75,5 ათასი ლარი, მ. შ. საქ. მთავრობის N 136 განკარგულებით გათვალისწინებული 160,3 ათასი ლარიდან 73,8 ათასი ლარი და საკუთარი სახსრების თანადაფინანსებით 1,7 ათასი ლარი, აღნიშნული თანხა მთლიანად მოხმარდა დაბის სკვერების რეაბილიტაციას.

4) სოფლის მხარდამჭერი პროგრამით 2019 წლის ექვს თვეში დაგეგმილი 183,4 ათასი ლარიდან გაწეულია მხოლოდ 4,7 ათასი ლარი, აქედან საკუთარი სახსრებით 1,2 ათასი ლარი და სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან 3,5 ათასი ლარი.

განათლების პროგრამაზე 2019 წლის ექვს თვეში გათვალისწინებული 1346,2 ათასი ლარიდან დახარჯულია 948,9 ათასი ლარი და დაფინანსებულია 70,5% პროცენტით, მ.შ. სკოლამდელი განათლებაზე დახარჯულია 539,5 ათასი ლარი, სკოლა–ინტერნატის სუბსიდირებაზე – 55,4 ათასი ლარი, მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლის სუბსიდირებაზე 50,5 ათასი ლარი და სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების უზრუნველყოფისათვის 303,5 ათასი ლარი.

სულ განათლების დაფინანსებაზე მიმდინარე წლის ექვს თვეში გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაწეულია 320,7 ათასი ლარით მეტი ხარჯი. გასული წლის ექვს თვეში განათლებას მოხმარდა 628,2 ათასი ლარი, სხვაობა ძირითადად გამოწვეულია მუნიციპალიტეტისათვის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის უფლებამოსილების დელეგირების გადმოცემით, ასევე 12,3 ათასი ლარით არის გაზრდილი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების ხარჯები წინა წლის ექვს თვესთან შედარებით.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების ხარჯების პროგრამაზე დაგეგმილი 687,9 ათასი ლარიდან დახარჯულია 661,3 ათასი ლარი და დაფინანსებულია 96,1 პროცენტით, გასულ წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით მიმდინარე წელს აღნიშნულ პროგრამის დაფინანსებას მოხმარდა 58,7 ათასი ლარით მეტი, გასული წლის ექვს თვეში აღნიშნულ პროგრამაზე დახარჯულია 602,60 ათასი ლარი. სპორტის განვითარებას მიმდინარე წლის ექვს თვეში მოხმარდა 184,6 ათასი ლარი. მ. შ. სპორტული ღონისძიებების დაფინანსებაზე დახარჯულია 2,8 ათასი ლარი ხოლო ა(ა)იპ სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის დაფინანსებაზე 181,7 ათასი ლარი და გასული წლის შესაბამის პერიოდში სპორტული პროფილის ა(ა)იპ-ების მიერ დახარჯულია ასევე დახარჯულია 181,7 ათასი ლარი.

კულტურის განვითარებაზე დაგეგმილი 409,0 ათასი ლარიდან დახარჯულია 399,0 ათასი ლარი და დაფინანსებულია 97,6 პროცენტით, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით კულტურის განვითარებას 40,1 ათასი ლარით მეტი მოხმარდა, 2018 წლის ექვს თვეში 358,9 ათასი ლარია კულტურის განვითარებაზე გაწეული. აქედან:

ა(ა)იპ სამუსიკო სკოლის სუბსიდირებაზე დაიხარჯა 53,1 ათასი ლარი, ა(ა)იპ კულტურისა და ხელოვნების ცენტრის სუბსიდირებაზე 342,4 ათასი ლარი, ხოლო 2018 წლის ექვს თვეში გაერთიანებაში შემავალი ა(ა)იპების მიერ გაწეული იყო 315,0 ათასი ლარი, ა(ა)იპ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის სუბსიდირებაზე 23,8 ათასი ლარი; ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსებაზე 8,8 ათასი ლარი და რელიგიის დაფინანსებაზე 45,0 ათასი ლარი და ფოლკლორის ხელშეწყობის პროგრამაზე დაიხარჯა 3,5 ათასი ლარი.

გასულ წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით მიმდინარე წელს კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების სფეროს დაფინანსებას მოხმარდა 58,7 ათასი ლარით მეტი, გასული წლის ექვს თვეში აღნიშნულ პროგრამაზე დახარჯულია 602,60 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფის პროგრამაზე ექვს თვეში დაგეგმილი 545,4 ათასი ლარიდან დაიხარჯა 412,1 ათასი ლარი და დაფინანსებულია 75,6 % - ით. ამ პროგრამით მიმდინარე წელს გასულის წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 68,3 ათასი ლარით მეტია გაწეული, 2018 წლის ექვს თვეში 343,8 ათასი ლარი იქნა გაწეული.

აქედან საზოგადოებრივი ჯანდაცვაზე დახარჯულია 56,9 ათასი ლარი, მ. შ. 29,3 ათასი ლარი მიზნობრივი ტრანსფერით, ხოლო 27,6 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით.

სოციალურ პროგრამებზე დაგეგმილი 472,6 ათასი ლარიდან დახარჯულია 345,8 ათასი ლარი და დაფინანსებულია 73,2 %-ით, აქედან უფასო სასადილოს სუბსიდირებაზე დახარჯულია 42,2 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების მკურნალობის, მედიკამენტებით უზრუნველყოფის და სხვადასხვა სოციალური ფენის მოსახლეობის ერთჯერად დახმარებებზე 223,9 ათასი ლარი, ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარებაზე 10,6 ათასი ლარი, ვეტერანთა და ლტოლვილთა დაკრძალვაზე 0,250 ლარი და სტიქიით დაზარალებული ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე 68,8 ათასი ლარი, აქედან 48,5 ათასი ლარი საქ. მთავრობის განკარგულებებით და 20,3 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ 2019 წლის ექვს თვეში გაწეული 6295,8 ათასი ლარიდან არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართულია 2480,2 ათასი ლარი და წინა წელთან შედარებით შემცირებულია 1292,7 ათასი ლარით.

3 815,6 ათასი ლარი კი მიმართულია ყველა დანარჩენ ხარჯებზე, მათ შორის:

შრომის ანაზღაურებაზე დახარჯულია 836,4 ათასი ლარი ანუ ხარჯების 21,9 %;

საქონელზე და მომსახურებაზე 672,8 ათასი ლარი - 17,6 %;

აქედან: შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე 86,2 ათასი ლარი, მივლინების ხარჯების ანაზღაურებაზე 9,5 ათასი ლარი, საოფისე ხარჯების გაწევაზე 76,8 ათასი ლარი, წარმომადგენლობითი ხარჯების ანაზღაურებაზე 6,1 ათასი ლარი, სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურებაზე 364,0 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე 130,1 ათასი ლარი.

სუბსიდირებაზე 1859,7 ათასი ლარი - 48,7 %;

პროცენტების გადახდაზე 13,3 ათასი ლარი - 0,3 % ;

გრანტებზე 3,9 ათასი ლარი - 0,1 %;

სოციალურ უზრუნველყოფაზე 249,7 ათასი ლარი - 6,5 %;

სხვა ხარჯებზე 170,5 ათასი ლარი - 4,5 %.